ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2472768

ნომერი: AR1383152

თარიღი : 02.03.2016

გაცემის თარიღი : 10.03.2016

გაცნობის თარიღი : 11.03.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა N13 / მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბარათაშვილი პ/ნ 01005026964
- საქართველო, ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთელის გამზირი, N 87, ბინა 16

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნული სამუშაოების განხორციელება, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1.პირველ რიგში საჭიროა გასწორდეს რეესტრის მონაცემები სადაც ერთი და იგივე შენობას მინიჭებული აღარ ეექნება სხვადასხვა ნომრები, კერძოდ: საპროექტო შენობის ნომერი ამონაწერი საჯარო რეესტრის მიხედვით დაფიქსირებულია N15, ხოლო საკადასტრო გეგმის მიხედვით დაფიქსირებულია N16 ;

2.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ ხერხდება შესასვლელის (პორტიკის) ფართის , მესაკუთრეების ვინაობის დადგენა (რომლის შუბლის ნაწილზეც უნდა განთავსდეს სარეკლამო აბრა) ანუ შესასვლელი მხოლოდ შპს მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს საკუთრებაა, თუ თანასაკუთრება (ანუ რეალურად წარმოადგენს შენობაში ძირითად შესასვლელს, რომელსაც მოიხმარენ ზედა სართულებზე არსებული ფართების მესაკუთრეებიც თუ მხოლოდ მხოლოდ მოიხმარს შპს მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო) . ზემოაღმიშნუზე გაცნობებთ, იმ შეთხვევაში თუ აღნიშნული ფართი თანასაკუთრებაა და საერთო სარგებლობის ფართია წარმოსადგენი გექნებათ ყველა თანამესაკუთრის თანხმობა საერთო სარგრბლობის შესასვლელის (პორტიკის შუბლზე) გადახურვის ზედა ჰორიზონტალურ ზოლში, წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით სარეკლამო წარწერის მონტაჟის განხორციელების შესაძლებლობაზე (რაც უნდა აიტვირთოს ..საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა ველში ასევე წარმოსადგენი გექნებათ საპროექტო შენობის თანამესაკუთრეთა ვინაობის შესახებ ცნობა საჯარო რეესტრიდან);

3.არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება -> ..მინდობილობა/რწმუნებულების pdf ფაილი: –გასული აქვს მოქმედების ვადა წარმოსადგენი გექნებათ ახალი ;

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.